

# თბილისის ინდუსტრიული დღეები 2014

## 3-5 დეკემბერი

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მოხარულია გაცნობოთ ინდუსტრიული დღეების პირველი გამოშვების გახსნის შესახებ.

ქართულ კინოში ბოლო წლებში საგრძნობი გამოცოცხლება შეინიშნება, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა ფესტივალებზე მიღებული პრიზებიც მოწმობს.

მხოლოდ 2014 წელს ათი ქართული ფილმი აჩვენეს მსოფლიოს წამყვან კინოფესტივალებზე ბერლინში, ვენეციაში, სტოკჰოლმში, ჩიკაგოში და ა.შ. ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი სპეციალურ რეტროსპექტივას ატარებს ქართული კინოს შესახებ, ბუსანის საერთაშორისო კინოფესტივალმა ( სამხრეთ კორეა) კი ქართველ ქალ რეჟისორებს სპეციალური სექცია მიუძღვნა.

ამ ფონზე, ვფიქრობთ დროა გავაფართოვოთ ჩვენი ინდუსტრიული პროგრამა და ფესტივალის ვაქციით ერთგვარ პლატფორმად კინოპროფესიონალებისთვის სამხრეთ კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ. გეპატიჟებით ინდუსტრიულ შეხვედრებზე, სადაც თქვენ შეძლებთ:

**მიიღოთ** უახლესი ინფორმაცია სწრაფადგანვითარებადი ქართული კინოინდუსტრიის შესახებ: შეხვდეთ ახალგაზრდა, ნიჭიერ ადამიანებს, გაეცნოთ საქართველოში გადაღებისა და კო-პროდუქციის შესაძლებლობებს.

**შეხვდეთ** რეგიონალურ და საერთაშორისო კინოპროფესიონალებს ჩვენს ყოველდღიურ ღონისძიებებზე და ისიამოვნოთ ქართული სტუმართმოყვარეობით.

**განიხილოთ** თემატური საკითხები სტუმრებთან და ახალგაზრდა ტალანტებთან ერთად პანელ-დისკუსიებზე.

ასევე, გიწვევთ ფილმების ჩვენებებზე, სპეციალურ ღონისძიებებსა და დისკუსიებზე, რომლებიც ფესტივალის ფარგლებში გაიმართება .

რეგისტრაციისთვის გთხოვთ მოგვწეროთ ელექტრონულ ფოსტაზე: [office@tbilisifilmfestival.ge](mailto:office@tbilisifilmfestival.ge) , სათაური- **“Industry Days”**.

ფესტივალისა და პროგრამის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ჩვენი ვებგვერდი: [www.tbilisifilmfestival.ge](http://www.tbilisifilmfestival.ge)



## პროგრამა

### ორშაბათი, 1 დეკემბერი

12:00 ფიჩინგის ტრენინგი, ბრიგიტა მანთაი ( ბერლინი-ბრანდენბურგი) კაფე ფრონტლაინი. ორდღიანი ვორკშოპისთვის 15 სრულმეტრაჟიანი ქართული ფილმი იქნა შერჩეული . ტრენინგის მიზანია პროდიუსერების, რეჟისორებისა და სცენარისტების მომზადება, რათა მათ შეძლონ საკუთარი პროექტების პროფესიულად და დამაჯერებლად წარდგენა პოტენციური ინვესტორების, თანაპროდიუსერებისა და ფესტივალების წარმომადგენელთა წინაშე

### სამშაბათი, 2 დეკემბერი

10:00 ფიჩინგის ტრენინგი, ბრიგიტა მანთაი (ბერლინი-ბრანდენბურგი) (კაფე ფრონტლაინი)

18:00 მასტერ-კლასი “ კოპროდიუსინგი”, ზეინეფ ატაკანი( თურქეთი) (ამირანი 3)

### ოთხშაბათი, 3 დეკემბერი

10:00 ფიჩინგის პრეზენტაცია (კაფე ფრონტლაინი)

- 15 ახალი ქართული ფილმის პროექტის ფიჩინგის სესია: ფიჩინგის მონაწილეები ქართველ და საერთაშორისო კინო და ტელე პროდიუსერებს წარუდგენენ 15 ახალ ქართულ ფილმს. გამარჯვებული პროექტი 3000 ლარით დაჯილდოვდება. პრიზი ქართული კინოს განვითარების ფონდმა დააწესა. ჟიურის თავმჯდომარე თურქი პროდიუსერი ზეინეფ ატაკანი იქნება. ასევე ჟიურის წევრები გახლავთ: ლუის მინარო( ესპანეთი) გია ბაზღაძე ( პროდიუსერი, საქართველო), ლევან კიტია(რეჟისორი, საქართველო)
- 16:00 საერთაშორისო კო-პროდუქციის შეხვედრები: საერთაშორისო და რეგიონალურ პროდიუსერებსა და რეჟისორებს ექნებათ შანსი შეხვდნენ ერთმანეთს სასიამოვნო გარემოში და ესაუბრონ საკუთარ პროექტებზე, განიხილონ თანამშრომლობა. შესაძლებელია დაიგეგმოს პერსონალური შეხვედრებიც.
- საუკეთესო პროექტის დაჯილდოების ცერემონია

### ხუთშაბათი, 4 დეკემბერი

10:00 სემინარი “Baltic to Black Sea Documentary Network” (კაფე ფრონტლაინი)

სემინარს წარადგენს დოკუმენტალისტი ალექს შირიაევი (შვედეთი) სემინარის მიზანია გაადვილოს პოსტ-საბჭოური ქვეყნების წარმომადგენელი დოკუმენტური კინორეჟისორების ინტეგრაცია სკანდინავიურ და ევროპულ ბაზარზე.



**12:00 პრეზენტაცია** საერთაშორისო კინოპროფესიონალებისთვის: კინოს გადაღება საქართველოში (დაფინანსების შესაძლებლობები და ლოჯისტიკა- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი). (კინო ამირანის მესამე დარბაზი)

**13:00 პრეზენტაცია:** “ აჭარის კინოს განვითარების მხარდამჭერი პროგრამა” და წიგნის “ბათუმი კინოში” პრეზენტაცია. წარადგენენ ირინე სურმანიძე და სალომე მურვანიძე. (ამირანის მესამე დარბაზი)

**14:00 პრეზენტაცია** საქართველოში გადაღების შესახებ: როგორ დავაზღვიოთ კინოწარმოება. წარადგენს ენტონი ოსტერთი (Circles Group, ლუქსემბურგი) (ამირანის მესამე დარბაზი)

**15:00 პანელი/დისკუსია:** “კინოწარმოების ახალი სტრატეგიები ევროპაში”. პანელის მონაწილეებს შორის არიან რეიმონდ ვან დერ კააი (Revolver Media, ნიდერლანდები) და ინეკე შმიდტი (რეჟისორი, ნიდერლანდები) (ამირანის მესამე დარბაზი)

**17:00 ალექსანდრ ესპიგარესი( ლუქსემბურგი) -** “ბატონიო ჰუბლოტი და ანიმაცია” (ჯიპა, მარი ბროსეს ქ.2)

#### **პარასკევი 5 დეკემბერი**

**11:00 კონფერენცია:** საქართველოს რეგიონული კინოთეატრების ქსელის შექმნა, (კაფე ფრონტლანი)

კონფერენცია თავს მოუყრის მოხალისეებსა და მინუციპალიტეტების წარმომადგენლებს რეგიონებიდან. კონფერენციის მიზანია რეგიონული კინოთეატრების ქსელის შექმნა, როგორც ქართული კინოს ბაზრის აღორძინებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

**17:00 მასტერ-კლასი -** ერიკ შპიცერი მერლინი მერლინი - (ავსტრია) - ხმის რეჟისურა (ამირანის მესამე დარბაზი)

#### **შაბათი, 6 დეკემბერი**

**12:00 მასტერ-კლასი, რეზა მირკარიმი (ირანი) -** რეჟისურა (ამირანის მესამე დარბაზი)

**16:00 მასტერ-კლასი, პიტერ ვებერი (დიდი ბრიტანეთი) -** სცენარის განვითარება (ამირანის მესამე დარბაზი)

#### **კვირა, 7 დეკემბერი**

**12:00 მასტერ-კლასი, გორან პასკალევიჩი (სერბეთი) -** რეჟისურა (ამირანის მესამე დარბაზი)

